

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გამოცდების ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) გამოცდების ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ცენტრი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ამ დებულებით, უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა დოკუმენტებით.

3. ცენტრი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე. ასრულებს რექტორის მითითებებს.

მუხლი 2. ცენტრის ამოცანები და ფუნქციები

ცენტრის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია:

ა) საგამოცდო პროცესის დაგეგმვა და ადმინისტრირება, გარდა მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისა;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორის წარმოება და მონიტორინგი;

გ) საგამოცდო პროცედურებისა და ინსტრუქციების შემუშავებაში მონაწილეობა;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი კორესპონდენციის განხილვა და პასუხის მომზადება;

ე) შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ჩატარების განრიგის მომზადება და გამოქვეყნება;

ვ) გამოცდის ჩატარების პროცედურულ საკითხებზე შემოსული საჩივრების განხილვა;

ზ) გამოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე სკოლებისგან საგამოცდო ბილეთების გამოთხოვა და სკოლის შესაბამისი თანამშრომლის მონაწილეობით მათი შედარება არსებული კურსების სილაბუსების საგამოცდო კომპონენტებთან;

თ) სტუდენტთა შიდა საუნივერსიტეტო ბაზაში საგამოცდო შეფასებების ასახვა;

ი) საგამოცდო პროცესის მონიტორინგი, გამოვლენილი ხარვეზების

გამოსწორების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;

კ) სტუდენტის შეფასების გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმის შექმნისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ლ) აბიტურიენტთა რეგისტრაცია სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოსთან ერთად;

მ) სასკოლო ოლიმპიადის ტექნიკური უზრუნველყოფა;

ნ) სემესტრის დასრულებიდან 2 თვის ვადაში დაბეჭდილი უწყისების სკოლებისთვის გადაცემა;

ო) სტუდენტური და ადმინისტრაციის ბარათების ბეჭდვა;

პ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებული სხვა ამოცანების შესრულება, რომლებიც არ შედის უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციაში და მიეკუთვნება უნივერსიტეტის მმართველობის სფეროს.

მუხლი 3. ცენტრის ხელმძღვანელობა

ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი, ცენტრის სტრუქტურა და თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად, ხოლო თანამშრომელთა უფლებამოსილებები, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილია ამ დებულებით ცენტრისთვის განსაზღვრული ფუნქციების შესრულება დგინდება დასაქმებულებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და სამუშაოს აღწერილობებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.